

სოფიკო ბახხაზაშვილი*

უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების ისტორიული განვითარება ქართულ გადახდისუუნარობის სამართალში და შედარებითი ანალიზი საქართველოს სტანდარტებთან

უზრუნველყოფილი კრედიტორები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ბიზნეს სექტორის განვითარებაში, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები არიან, ამიტომაც ქვეყანაში არსებული გადახდისუუნარობის მომწესრიგებელი ნორმები უნდა ქმნიდეს მათი დაცვის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს, სწორედ ამ მიზნით 2021 წლის პირველ აპრილს ამოქმედდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც, წინამორბედი რეგულაციისაგან სრულიად განსხვავებულად მოანერგა უზრუნველყოფილი კრედიტორების როლი და დაკმაყოფილების ფარგლები ქართულ გადახდისუუნარობის სამართალში.

ნაშრომის მიზანია სისტემურად გააანალიზოს უზრუნველყოფილი კრედიტორების როლი და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ისტორიული განვითარება ქართულ სამართალში და ამასთანავე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებზე, პრინციპებსა თუ დირექტივებზე დაყრდნობით შეაფასოს რამდენად ეხმიანება დღეს მოქმედი რეგულაცია საუკეთესოდ აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

საკვანძო სიტყვები: უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ისტორიული ექსკურსი, საერთაშორისო სტანდარტები, შედარებითი ანალიზი, უზრუნველყოფილი უფლებების უპირატესობანი.

1. შესავალი

გადახდისუუნარობის სამართალი ბიზნესურთიერთობებისთვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რადგან მისი ეფექტიანად ფუნქციონირებისა და კონკურენტუნარიანობისთვის რამდენადაც მნიშვნელოვანია ბიზნესის დანყების სიმარტივე, იმდენად საჭიროა მისი დახურვის პროცესების გამარტივება.¹ მდგრადი და განვითარებული ეკონომიკის საიდუმლო აღორძინებული ბიზნეს სექტორის მიღმა იმალება, ხოლო ეფექტური და ქმედითი გადახდისუუნარობის პროცედურების არ არსებობამ შესაძლოა საზოგადოება ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისამდე მიიყვანოს,² ამიტომაც ისეთი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისთვის, როგორიც საქართველოა, ამ მიმართულებით, მონესრიგებული და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საკანონმდებლო რეგულაციები მნიშვნელოვანია.

ქართული სამართალი ამ მხრივ სერიოზული გამოწვევის წინაშე იდგა. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების 2014 წლის ანგარიშში საქართველო, გადახდისუუნარობისა და კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების კუთხით, 88-ე ადგილს იკავებდა,³ 2019 და 2020 წლე-

* სამართლი მაგისტრი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი მრჩეველი.
<https://orcid.org/0009-0005-7857-5562>.

¹ საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, 28-30.

² International Monetary Fund, Ordinary and Effective Insolvency Procedures, Legal Department, 1999, 1.

³ საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, 30.

ბის მონაცემები, მხოლოდ უმნიშვნელო გაუმჯობესების ფონზე, კვლავაც არასახარბიელო მონაცემებს გვთავაზობდა⁴, უფრო მეტიც, USAID-ის პროექტის G4G-ის მიერ ჩატარებულ შეფასების ანგარიშში პირდაპირ იყო მითითებული, რომ ქართული გადახდისუნარობის სამართალი უარყოფითად მოქმედებდა უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებზე.⁵ შესაბამისად, გადახდისუნარობის სამართალი ქვეყნის მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებდა, რაც 2020 წელს გადახდისუნარობის შესახებ ახალი კანონის შემუშავებაში გამოიხატა. კანონმა, მანამდე მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციისგან სრულიად განსხვავებულად მოაწესრიგა უზრუნველყოფილი კრედიტორების როლი, უფლებამოსილების ფარგლები და დაცვის გარანტიები და მეტად აქტიუალური გახდა აღნიშნული საკითხები როგორც სამართლებრივი, ისე ბიზნესურთიერთობების თვალსაზრისით.

ნაშრომის მიზანია დეტალურად განიხილოს ქართულ გადახდისუნარობის სამართალში მოქმედი თითოეული საკანონმდებლო აქტი, უზრუნველყოფილი კრედიტორების როლსა და მნიშვნელობასთან, ასევე მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილების წესთან მიმართებით და ისტორიული მიმოხილვის საფუძველზე შეაფასოს სამართლის ამ უმნიშვნელოვანესი სუბიექტების უფლებრივი მდგომარეობის პროგრესული თუ რეგრესული დინამიკა.

ნაშრომი ასევე მოიცავს უზრუნველყოფილ კრედიტორთა დაკმაყოფილების თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირის, გაეროსა და მსოფლიო ბანკის) მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს და მათ შესაბამისობას საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციასთან.

2. უზრუნველყოფილი კრედიტორების როლი და მნიშვნელობა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ იყო პირველი საკანონმდებლო აქტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც მიზანშივე განსაზღვრა რეაბილიტაციის გზით სანარმოს გადარჩენის მნიშვნელობა⁶ და კრედიტორთა მოთხოვნების ამგვარად დაკმაყოფილება.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმანეთისგან გამოყოფდა კრედიტორთა ორ ძირითად ჯგუფს, ესენია: გაკოტრების კრედიტორები, რომელთა დეფინიციას ითვალისწინებდა კანონის ტექსტი და კრედიტორები რომლებიც არ სარგებლობდნენ გაკოტრების კრედიტორების სტატუსით, თუმცა რამენაირად დაკავშირებულნი იყვნენ ვალაუვალ მოვალესთან.

კანონის თანახმად პირის გაკოტრების კრედიტორად მიჩნევისათვის სავალდებულო იყო ორი წინაპირობის დაკმაყოფილება, კერძოდ გაკოტრების კრედიტორებად ითვლებოდნენ პირები, „რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის მოვალის მიმართ გააჩნდათ საფუძვლიანი ქონებრივი პრეტენზია“⁷ და აღნიშნული ქონებრივი მოთხოვნა

⁴ <<https://subnational.doingbusiness.org/en/data/exploretopics/resolving-insolvency/score>>[20.06.2023].

⁵ ISET, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება, საბოლოო ანგარიში, 2019, 6.

⁶ ქადარია ს., რეაბილიტაციის პროცესის ისტორიული განვითარება, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2022, 197.

⁷ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (ძალადაკარგულია, 28/03/2007).

გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი, ანუ მისი შესრულების ვალდებულება სრულად უნდა ყოფილიყო დამდგარი საქმის წარმოების გახსნამდე.⁸

1996 წლის გაკოტრების სამართალი ზემოთ განხილულის გარდა ასევე იცნობდა სხვა სახის კრედიტორებს, მათ განსხვავებულ ბუნებას მოთხოვნის დაკმაყოფილების უპირატესი და სპეციფიკური ხასიათი განაპირობებდა, უზრუნველყოფილი კრედიტორები კი სწორედ ამ განსხვავებული სტატუსით სარგებლობდნენ.

სხვა სახის კრედიტორებად მიიჩნეოდნენ: მასის კრედიტორები, საკუთრების კრედიტორები და უზრუნველყოფილი კრედიტორები. მათ შორის მიჯნის გავლენას მოთხოვნის წარმომოხი საფუძვლის განსხვავებული ბუნება უზრუნველყოფდა.⁹

ა) მასის კრედიტორები

ქართული გადახდისუნარობის სამართლისთვის მასის კრედიტორის ცნება უცხო იყო, კანონი ითვალისწინებდა მასის მოთხოვნებს, ანუ გაკოტრების მასიდან წარმოშობილ მოთხოვნებს, ამიტომაც პირებს, რომელთაც ასეთი მოთხოვნის უფლება ჰქონდათ, ლიტერატურაში მასის კრედიტორებად მოიხსენიებდნენ, მასის კრედიტორი განსხვავდებოდა ყველა სხვა სახის კრედიტორისგან, ვინაიდან მხოლოდ მისი მოთხოვნა იყო უშუალოდ მიმართული გაკოტრების მასისკენ.¹⁰ მაშინ როდესაც პირის გაკოტრების კრედიტორად მიჩნევისთვის აუცილებელი პირობა იყო მოთხოვნის საქმის წარმოების გახსნამდე არსებობა, მასის კრედიტორის მოთხოვნა წარმოიშობოდა საქმის წარმოების გახსნის შემდეგ, შესაბამისად გაკოტრების კრედიტორის პრეტენზია მიმართული იყო მოვალისკენ, ხოლო მასის კრედიტორის – გაკოტრების მასისკენ, რადგან ასეთი მოთხოვნა მას შემდეგ აღმოცენდებოდა, რაც თავად მასა შეიქმნებოდა.¹¹

მასის კრედიტორები ყველაზე უფრო პრივილეგირებული კრედიტორები იყვნენ, ამას კი მათი უზრუნველყოფილი ბუნება განაპირობებდა, აქ არ იგულისხმებოდა კლასიკური გაგებით სანივთო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, არამედ ისინი საკანონმდებლო დაცვით სარგებლობდნენ.¹² მასის კრედიტორებად მიიჩნეოდნენ ვალაუფალი მოვალის კმაყოფაზე მყოფი პირები საარსებო მინიმუმის ფარგლებში, სასამართლო, გაკოტრების მმართველი და ა.შ.¹³

ბ) საკუთრების კრედიტორები

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე არ იცნობდა საკუთრების კრედიტორის განმარტებას, ამიტომაც მათი იდენტიფიცირება კვლავაც მოთხოვნის ხასიათიდან იყო შესაძლებელი. კერძოდ, თუ მოვალე ფლობდა ისეთ საგანს, რომელზეც საკუთრების უფლება მესამე პირს გააჩნდა, ასეთი საგანი გაკოტრების მმართველს უნდა დაებრუნებინა შესაბამისი პირისათვის და არ შეეტანა იგი გაკოტრების მასაში.¹⁴

⁸ მიგრიაული რ., შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, 70-72.

⁹ მიგრიაული რ., შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, 84-85.

¹⁰ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბ., 2011, 83.

¹¹ მიგრიაული რ., შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, 96-99.

¹² იქვე, 100-101.

¹³ გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

¹⁴ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (ძალადაკარგულია, 28/03/2007).

საკუთრების კრედიტორი იყო პირი, რომლის ქონებაც არასწორად მოხვდა გაკოტრების მასაში და რომელიც გაკოტრების მმართველს დაუყოვნებლივ უნდა დაებრუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი მას უზრუნველყოფდა მოთხოვნის სასარჩელო წარმოების დაკმაყოფილების უფლებით.¹⁵

გ) უზრუნველყოფილი კრედიტორი

განსხვავებით საკუთრების კრედიტორისა, უზრუნველყოფილი კრედიტორი აღიარებდა კონკრეტული ნივთის მასისადმი კუთვნილებას, თუმცა ითხოვდა, სანივთო უზრუნველყოფის ხასიათიდან გამომდინარე (ამ შემთხვევაში იპოთეკა ან გირავნობა) მოთხოვნის უპირატესად დაკმაყოფილებას. შესაბამისად საკუთრების კრედიტორის მსგავსად, უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნაც სანივთო-სამართლებრივ ურთიერთობას ეფუძნებოდა, წარმოშობილი იყო საქმის წარმოების გახსნამდე და, ანალოგიურად, არ მონაწილეობდა საქმის წარმოების მიმდინარეობაში, რადგან გაკოტრების მმართველი ვალდებული იყო გაეყიდა უზრუნველყოფის საგანი და საქმის წარმოების გახსნისთანავე დაეკმაყოფილებინა ასეთი სახის მოთხოვნა.¹⁶

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კანონი აქცენტს მხოლოდ გირავნობაზე აკეთებდა, თუმცა კანონის სისტემური ანალიზი და პრაქტიკის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ კანონმდებელი გირავნობაში სანივთო-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალებებს, კერძოდ: გირავნობასა და იპოთეკას, მოიაზრებდა.¹⁷

3. უზრუნველყოფილი კრედიტორების როლი და მნიშვნელობა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

გადახდისუუნარობის სამართლის ისტორიის ანალიზის შედეგად იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, მთელ რიგ საკითხებთან მიმართებით, ყველაზე არასასურველ მონესრიგებებს სთავაზობდა თავის სუბიექტებს, რაც უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენდა კრედიტორთა ბედზე.

აღნიშნულს, უპირველესად განაპირობებდა კანონის ძირითადი ორიენტირი, რომელიც მოვალის სწრაფი გაკოტრებისკენ იყო მიმართული, ამასთანავე მთელი რიგი ნორმები გარკვეული ბუნდოვანებითა და ორაზროვნებით ხასიათდებოდა და ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვან საკითხებს მონესრიგების გარეშე ტოვებდა,¹⁸ რაც უარყოფითად აისახებოდა უზრუნველყოფილ კრედიტორთა სამართლებრივ მდგომარეობაზეც.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი გეთავაზობდა გადახდისუუნარობის კრედიტორის, ახალი კრედიტორისა და უზრუნველყოფილი კრედიტორის ცნებებს.

¹⁵ მიგრიაული რ., შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, 90.

¹⁶ იქვე.

¹⁷ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (ძალადაკარგულია, 28/03/2007).

¹⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 2.

2007 წლის კანონის მიხედვით გადახდისუნარობის კრედიტორი¹⁹ არაფრით განსხვავდებოდა ზემოთ განხილული გაკოტრების კრედიტორისგან.²⁰ რაც შეეხება მასისა და საკუთრების კრედიტორებს, 2007 წლის კანონი, 1996 წლის კანონისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებდა მათ განმარტებას, თუმცა კანონის სისტემური ანალიზის შედეგად მარტი იყო მათი იდენტიფიცირება და როგორც უფლებრივი, ისე შედეგობრივი თვალსაზრისით თითქმის არ ავლენდა წინამორბედებისგან განსხვავებას.

„გადახდისუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი გვთავაზობდა უზრუნველყოფილი კრედიტორის დეფინიციას, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფილი კრედიტორი შეიძლება ყოფილიყო როგორც გადახდისუნარობის კრედიტორი, ასევე ახალი კრედიტორი, „რომლის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით, გირავნობით ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით“.²¹ როგორც კანონის ტექსტიდან იკითხება უზრუნველყოფილი კრედიტორად გვევლინებოდა ასევე ახალი კრედიტორი, რაც ცოტა დამაბნეველია, რადგან კანონის თანახმად მას პრაქტიკაში არანაირი განსხვავებული შედეგი არ მოჰყვებოდა²², შესაბამისად, 1996 წლის კანონითა და 2007 წლის კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფილი კრედიტორების დეფინიციებს შორის, ამ ნაწილში, არსებული სხვაობა მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელი იყო. გარდა ამისა 2007 წლის კანონმა უზრუნველყოფილ კრედიტორთა რიგებში მოაქცია საგადასახადო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფის საშუალებებს მოვალის ქონებაზე დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით იყენებდა და ამით კიდევ უფრო გააფართოვა უზრუნველყოფილ კრედიტორთა წრე.²³

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მართალია 2007 წლის კანონი ცალკე ითვალისწინებდა უზრუნველყოფილი კრედიტორის ცნებას, თუმცა მას ცალსახად აკლდა 1996 წლის კანონის მსგავსი მკაფიო მონესრიგება²⁴, რომელიც შედარებით უფრო ზუსტად განსაზღვრავდა, როგორც უზრუნველყოფილი კრედიტორის მოქმედების ფარგლებს მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში, ისე ამ დაკმაყოფილების მოცულობას.²⁵

¹⁹ საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მე-3 მუხლის ი) ქვეპუნქტი, სსმ, 9, 31/03/2007, (ძალადაკარგულია, 18/09/2020).

²⁰ მიგრიაული რ., გადახდისუნარობის ახალი კანონის შუქ-ჩრდილები, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009.

²¹ საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მე-3 მუხლის ლ) ქვეპუნქტი, სსმ, 9, 31/03/2007, (ძალადაკარგულია, 18/09/2020).

²² შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბ., 2011, 83, 51.

²³ საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მე-3 მუხლის ლ) ქვეპუნქტი, სსმ, 9, 31/03/2007, (ძალადაკარგულია, 18/09/2020).

²⁴ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (ძალადაკარგულია, 28/03/2007).

²⁵ მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 50.

4. უზრუნველყოფილი კრედიტორების სამართლებრივი ბუნება და მნიშვნელობა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

ახალი საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში მოდიფიცირდა უზრუნველყოფილ კრედიტორთა როლი, დაცვის გარანტიები, უფლებამოსილების ფარგლები და მოთხოვნათა დაკმაყოფილების სპეციფიკა და მეტად დაუახლოვდა საუკეთესოდ აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

2020 წლის კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ წინამორბედი რეგულაციებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს უშუალოდ კრედიტორის ცნებას, განსხვავებით ქართული სამართლისგან, გერმანიის გადახდისუუნარობის კოდექსი იცნობს კრედიტორის დეფინიციას და მას განმარტავს, როგორც პირს, რომელსაც გადახდისუუნარობის პროცესების დაწყებამდე გააჩნდა ლიკვიდური მოთხოვნები მოვალის მიმართ და რომელთა დაკმაყოფილებაც უნდა მოხდეს გადახდისუუნარობის მასიდან.²⁶

აღნიშნული განმარტება გარკვეულწილად შეესაბამება ქართულ რეალობას, თუმცა იგი არ მოიცავს ყველა იმ პირს, რომლებიც გადახდისუუნარობის საქმეში შეიძლება კრედიტორებად მოგვევლინონ²⁷. ანალოგიური შეგვიძლია ვთქვათ ზემოთ განხილულ ქართულ საკანონმდებლო აქტებში მოცემულ კრედიტორთა დეფინიციებზე, შესაბამისად, ქართული სამართლის ამჟამინდელი მიდგომა გარკვეულწილად გონივრულია და მეტი სიზუსტით ხასიათდება, რადგან კრედიტორის სტატუსის დადგენა შესაძლებელია მისი მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ მოთხოვნის შინაარსი ანიჭებს კრედიტორს გადახდისუუნარობაში ამა თუ იმ სტატუსს და არ აქცევს მხოლოდ ერთი მონესრიგების ფარგლებში.²⁸

რამდენი სახის მოთხოვნაც აქვს კრედიტორს იმდენივე მიმართულების კრედიტორად უნდა მოვიაზროთ ეს უკანასკნელი. კრედიტორთა კატეგორიებად დაყოფამდე კარგად უნდა გაანალიზდეს მათი მოთხოვნების ხასიათი, რომლებიც შესაძლოა იყოს როგორც ლიკვიდური, ისე არალიკვიდური, ვადამოსული ან ვადამოსუვლელი, ფიქსირებული ან პირობითი და ა.შ.²⁹ 2020 წლის კანონი ითვალისწინებს კრედიტორთა მოთხოვნების ამგვარ გამიჯვნას, რადგან მას დიდი ფუნქციური დატვირთვა აქვს კრედიტორთა სამართლიანი დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ა) უზრუნველყოფილი კრედიტორები

გადახდისუუნარობის სამართლისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი კრედიტორების, როგორც მონაწილე სუბიექტების არსი. მათი ეს განსაკუთრებული ბუნება სანივთო სამართლებრივი უზრუნველყოფის ხასიათიდან გამომდინარეობს.

ზოგადად, სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები კრედიტორისთვის ერთგვარი გარანტიაა, რომ დაიკმაყოფილებს მოთხოვნას იმ შემთხვევაშიც კი თუ მოვალე არ

²⁶ German Insolvency Code, Section 38.

²⁷ მაგ.: დაუზუსტებელი მოთხოვნები.

²⁸ მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 50.

²⁹ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nation, New York 2005, 249.

შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, იგი ხელს უწყობს კრედიტორის კანონიერი ინტერესების დაცვას.³⁰ მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი კრედიტორთა დაცვასა და ვალდებულების გადაუხდელობის რისკის შემცირებასთან ერთად, მოვალეებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ თავიანთი აქტივების სრული ღირებულება კრედიტის მისაღებად და ბიზნესის განსავითარებლად.³¹ შესაბამისად ასეთი ურთიერთობები ფართოდ არის ცნობილი სამოქალაქო სამართლისთვის.

ცხადია, გადახდისუნარობის სამართალშიც უზრუნველყოფილი უფლებები ემსახურება სესხის გადაუხდელობის რისკების მაქსიმალურად შემცირებას, რადგან მოვალის გადახდისუნარობა ამ რისკებს ერთიორად ზრდის, ამ თვალსაზრისით უზრუნველყოფილი უფლებების რეალიზაცია დამოკიდებულია გადახდისუნარობის სამართალზე, ვინაიდან უზრუნველყოფილი კრედიტის ეფექტური სისტემა მოითხოვს ამგვარი უზრუნველყოფილი უფლებებისთვის შეიქმნას მაქსიმალურად მოქნილი და სრულყოფილი აღსრულების სისტემა.³²

როგორც გაერო აღნიშნავს, უზრუნველყოფილი კრედიტის ხელმისაწვდომობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გადახდისუნარობის შესახებ კანონები შეიცავდნენ რაც შეიძლება მკაფიო წესებს თავად უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებზე, რადგან ამ უკანასკნელებმა სათანადოდ განსაზღვრონ კრედიტთან დაკავშირებული რისკები.³³

ვინაიდან უზრუნველყოფილი კრედიტორების სამართლებრივი მდგომარეობის საკანონმდებლო დონეზე ასახვა არც ისე მარტივი საკითხია, არაერთხელ გამხდარა იგი მსჯელობის საგანი.³⁴ მაგალითისთვის დიდი ბრიტანეთის 1986 წლის გადახდისუნარობის აქტში, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა შემოგვთავაზა მეტ-ნაკლები სიზუსტით აღნიშნული ცნება, უზრუნველყოფილი კრედიტორი, არის კომპანიის კრედიტორი, რომელიც თავის ვალთან დაკავშირებით ფლობს კომპანიის ქონებაზე გარანტიას.³⁵ რაც შეეხება ქართულ რეალობას, დღეს არსებული მონესრიგება გვთავაზობს „უზრუნველყოფილი კრედიტორების შეზღუდულ კონცეფციას“³⁶, ვინაიდან უზრუნველყოფილია ისეთი კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით.³⁷ კანონმდებელი გონივრულად აკონკრეტებს სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, გირავნობას და იპოთეკას, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელნი არიან დაკავშირებული უშუალოდ მოვალის ნივთებთან (როგორც უძრავი, ისე მოძრავი) და მათი აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფენ კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საჭიროების შემთხვევაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის კანონისგან განსხვავებით დღეს მოქმედი რეგულაცია საგადასახადო ორგანოს აღარ მიიჩნევს უზრუნველყოფილ კრედიტორად. მართა-

³⁰ ზარანდია თ., ჯუღელი თ., მოძრავი ნივთით მოთხოვნის უზრუნველყოფა ქართულ სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N2, 2009, 27.

³¹ UNCITRAL, Legislative Guide on Secured Transactions, United Nation, New York 2010, 423 (II).

³² Brinkmann M., The Position of Secured Creditors in Insolvency, European Company and Financial Law Review, 2008, 249.

³³ UNCITRAL, Legislative Guide on Secured Transactions, United Nation, New York 2010, 425.

³⁴ შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბ., 2011, 90.

³⁵ Insolvency Act 1986, UK, 182.

³⁶ ISET, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება, საბოლოო ანგარიში, 2019, 22.

³⁷ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, მე-3 მუხლის თ) ქვეპუნქტი, 25/09/2020.

ლია შემოსავლების სამსახურს აქვს შესაძლებლობა, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან³⁸ გამომდინარე, მოვალის, როგორც გადასახადის გადამხდელის, ქონებას დაადოს საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა³⁹, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს უზრუნველყოფის ღონისძიება მიმართულია საგადასახადო დავალიანების გადახდევინებისაკენ და საფუძვლად კანონის იმპერატიული ნორმები უდევს, ნაცვლად იმ სანივთო უზრუნველყოფის საშუალებისა, რომელიც სახელშეკრულებო კონტრაქტების ფარგლებში წარმოიშობა.

ბ) არაუზრუნველყოფილი კრედიტორები

არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფში ერთიანდებიან ძველი და ახალი კრედიტორული მოთხოვნის მქონე პირები, ასევე პირობითი, დაუზუსტებელი, განუსაზღვრელი, პრეფერენციული და ა.შ. მოთხოვნების მქონე კრედიტორები. ყველა ამ ტიპის კრედიტორს აერთიანებს ერთი საერთო მახასიათებელი, განსხვავებით უზრუნველყოფილი კრედიტორებისგან, ეს უკანასკნელნი არ სარგებლობენ მოთხოვნების სანივთო სამართლებრივი საშუალებებით დაკმაყოფილების პრივილეგიით. შესაბამისად ისინი შედარებით მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ გადახდისუუნარობის საქმისწარმოების მიმდინარეობისას.

კრედიტორებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი მოვალის ბიზნესში, განსაკუთრებით გადახდისუუნარობის პროცესების დაწყების შემდეგ.⁴⁰ ამ განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადახდისუუნარობის შესახებ ბევრი კანონი ცდილობს უზრუნველყოს მათი მაქსიმალური ჩართულობა გადახდისუუნარობის პროცესებში,⁴¹ თანაც ისე, რომ არ დაარღვიოს ბალანსი და ზედმეტი უფლებამოსილებით არ აღჭურვოს ეს უკანასკნელნი ისეთი საკითხების გადამწყვეტისას, რომლებიც მათ უფლებრივ მდგომარეობაზე გავლენას არ ახდენს. ამასთანავე, კანონები ცდილობენ მაქსიმალურად გაითვალისწინონ კრედიტორთა ინდივიდუალური ბუნება (მოთხოვნების ხასიათიდან გამომდინარე), რომ განსაზღვრონ როდის და რა მოცულობით იქნება ყველაზე მეტად მიზანშეწონილი მათი დაკმაყოფილება გადახდისუუნარობის პროცესებში.⁴²

5. უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების ფუნდამენტური პრინციპები საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად

საერთაშორისო ორგანიზაციები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ რეკომენდაციებში, რომ უზრუნველყოფილი უფლებების დაცვისა და ეფექტური რეალიზაციისთვის, ქმედითი საკანონმდებლო სისტემის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებად ქვეყნებში, რადგან მართალია ასეთი ქვეყნების ბაზარი ბიზნესისთვის დაბალი გადასახადებისა და იაფი მუშახელის გამო მიმზიდველია, თუმცა მოუმწიფებელი და გაუმართავი საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი სისტემის არსებობიდან წამოსული რისკები ბიზნეს სუბი-

³⁸ საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 239-ე მუხლი, სსმ, 54, 12/10/2010.

³⁹ *მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს.*, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 78.

⁴⁰ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nation, New York 2005, 190.

⁴¹ Kasak A., Is Full Preference for a Secured Claim in Insolvency Proceedings Justified?, *Juridica International*, 2019, 113.

⁴² UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nation, New York 2005, 190-191.

ექტებს უზიდავს თავიანთი მოთხოვნების დასაცავად მაქსიმალურად დიდი რაოდენობის უზრუნველყოფის საშუალებები მოითხოვონ ეს კი, თავის მხრივ, აფერხებს ქვეყანაში ბიზნესის სტაბილურ განვითარებას.⁴³

ამიტომაც საერთაშორისო ორგანიზაციები მოუწოდებენ განვითარებად სახელმწიფოებს მაქსიმალურად დაუახლოონ თავიანთი კანონმდებლობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

საქართველოსთვის, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2019 წლის 20 ივნისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2019/1023 (EU) დირექტივა პრევენციული რესტრუქტურის სისტემების, ვალის დაფარვის და დისკვალიფიკაციის, და რესტრუქტურის რეგულირების სისტემების, ვალის დაფარვასთან დაკავშირებული პროცედურების ეფექტურობის გაზრდის შესახებ⁴⁴, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გადახდისუნარობის სამართლისათვის უზრუნველყოფილი კრედიტორების მნიშვნელობაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი უფლებების მიმართ თანასწორი მოპყრობის რეალიზაციისათვის, გადახდისუნარო მოვალის კრედიტორები უნდა განიხილებოდნენ სხვადასხვა კლასებში. აღნიშნული კლასები იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული ეროვნულ დონეზე, რომ კრედიტორები დაჯგუფდნენ საერთო ინტერესების, უფლებებისა და მოთხოვნების შესაბამისად. კლასები შეიძლება სხვადასხვა ნიშნით შეიქმნას და სახელმწიფოებმა იგი ეროვნული საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვრონ, თუმცა დირექტივის თანახმად უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი კრედიტორები ყოველთვის უნდა განიხილებოდნენ ცალკეულ კლასებში.⁴⁵

მსგავს მიდგომებს აყალიბებს გაერო თავის გზამკვლევაში და აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტის ხელმისაწვდომობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გადახდისუნარობის შესახებ კანონები შეიცავდნენ რაც შეიძლება მკაფიო წესებს თავად უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებებზე, მათი დაცვის გარანტიებსა და დაკმაყოფილების ფარგლებზე, რადგან ამ უკანასკნელებმა სათანადოდ განსაზღვრონ კრედიტთან დაკავშირებული რისკები.⁴⁶ გაეროს გზამკვლევის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა განამტკიცონ უზრუნველყოფილი კრედიტორების განსაკუთრებული ბუნება გადახდისუნარობის სამართალში⁴⁷ და საკანონმდებლო დონეზე პრიორიტეტი მიანიჭონ გადახდისუნარობის საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯებისა და უზრუნველყოფილ კრედიტორთა დაკმაყოფილებას.⁴⁸

თავის მხრივ, მსოფლიო ბანკის პრინციპებში ვკითხულობთ, რომ საქმისწარმოების მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით. ორგანიზაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამგვარი ქონებით არ შეიძლება სხვა კრედიტორული მოთხოვნის დაკმაყოფილება იქამდე, სანამ სრულად არ დაიფარება უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნები.

⁴³ The World Bank Group, Principles for Effective Insolvency and Creditor/Debtor Regimes, Washington DC 2021, 5.

⁴⁴ <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023>>[24.07.2023].

⁴⁵ Directive (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019, 9. (44)

⁴⁶ UNCITRAL, Model Law on Cross-Border Insolvency with Guide to Enactment and Interpretation, United Nation, New York 2014, 63

⁴⁷ UNCITRAL, Legislative Guide on Secured Transactions, United Nation, New York 2010, 425 and 25.

⁴⁸ UNCITRAL, Legislative Guide on Insolvency Law, United Nation, New York 2005.

ფილ კრედიტორთა მოთხოვნები ან ეს უკანასკნელი თანხმობას არ განაცხადებენ აღნიშნულის თაობაზე.⁴⁹

ზოგადად გადახდისუუნარობის სამართლის იდეალია თანაბარი მიდგომა გაავრცელოს ყველა კრედიტორზე, თუმცა არაერთი განმასხვავებელი ნიშნის გათვალისწინებით, საბოლოოდ ვიღებთ, პრიორიტეტებზე დაფუძნებულ სიას, რომელიც ძირითად ინდივიდუალურია სხვადასხვა ქვეყნისთვის. საერთაშორისო დონეზე განმტკიცებული პრინციპები სახელმწიფოებს სთავაზობს ჩარჩო მონესრიგებებსა და ალტერნატიულ მიდგომებს, ხოლო ქვეყნებს უტოვებს არჩევანის თავისუფლებას ეროვნულ დონეზე არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე განსაზღვრონ კრედიტორთა დაკმაყოფილების რიგითობა როგორც რეაბილიტაციის, ასევე გაკოტრების რეჟიმში.

6. უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების ისტორიული მიმოხილვა და დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციის თანხვედრა საერთაშორისო სტანდარტებთან

გადახდისუუნარობის პროცესებში უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების საკითხი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კანონმდებლისთვის.⁵⁰ უზრუნველყოფილი კრედიტორების პრიორიტეტული ბუნება, სხვადასხვა ფორმით, გათვალისწინებულია ყველა სამართლებრივად მდგრადი და განვითარებული ქვეყნის იურისდიქციისთვის, უფრო მეტიც, საერთაშორისო შეხედულების თანახმად, დღესდღეობით უკვე ამ საკითხზე მსჯელობაც კი დროის კარგვად მიიჩნევა,⁵¹ რადგან უზრუნველყოფილი კრედიტორებისთვის პრიორიტეტების მინიჭება არის საიმედო პოლიტიკის არჩევანის დაცვა ეფექტიანი კანონმდებლობის საფუძველზე.⁵²

2020 წლის კანონმა მთლიანად შეცვალა წინა მონესრიგების მიდგომა, უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების ნაწილში და მაქსიმალურად დაუახლოვდა საუკეთესოდ აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

6.1. უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

1996 წლის კანონის მიხედვით უზრუნველყოფილ კრედიტორებს არ ჰქონდათ ნივთის გადახდისუუნარობის მასიდან გამოცალკევების და თავისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლება, ასეთი უზრუნველყოფილი ნივთები მასის შემადგენელ ნაწილებად ითვლებოდა, თუმცა მათ გააჩნდათ უფლება მოეთხოვათ უზრუნველყოფილი ნივთების რეალიზაცია და ამონაგები თანხით მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილება.⁵³

⁴⁹ The World Bank Group, Principles for Effective Insolvency and Creditor/Debtor Regimes, Washington DC 2021, 26, C12.

⁵⁰ Keay A., Insolvency Law: A Matter of Public Interest?, Northern Ireland Legal Quarterly, 2000, 1.

⁵¹ Brinkmann M., The Position of Secured Creditors in Insolvency, European Company and Financial Law Review, 2008, 251.

⁵² Eidenmuller H., Secured Creditors in Insolvency Proceedings, European Company and Financial Law Review, 2008, 274.

⁵³ მიგრიაული რ., შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, 90-91.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი კრედიტორი არ იყო გაკოტრების კრედიტორი და მისი დაკმაყოფილება გაკოტრების პროცესებისგან განცალკევებულად ხდებოდა. გაკოტრების მმართველი, უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციით, გადახდისუნარობის საქმის წარმოების მიღმა, ჯერ უზრუნველყოფილ კრედიტორებს დააკმაყოფილებდა, ხოლო შემდეგ იწყებდა უშუალოდ გაკოტრების კრედიტორების დაკმაყოფილებას.⁵⁴

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1996 წლის კანონი, 2007 წლის კანონისგან განსხვავებით, გადახდისუნარობის მასის რეალიზაციასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვას არ აწესებდა,⁵⁵ შესაბამისად უზრუნველყოფილ კრედიტორს არ სჭირდებოდა მოცდა მთლიანი ქონების აუქციონზე რეალიზაციამდე, რათა მოვალისგან შესრულება მიეღო.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის კანონი უზრუნველყოფილი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების სრულიად განსხვავებულ წესს გვთავაზობდა გადასახდელი თანხის მოცულობის ნაწილში. კერძოდ, კანონი, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ნივთის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით სრულად უნდა დაიფაროს კრედიტორის მოთხოვნა,⁵⁶ პირდაპირ დათქმას აკეთებდა, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან შეეძლო დაეკმაყოფილებინა მხოლოდ მოთხოვნის $\frac{3}{4}$ ნაწილი, დარჩენილი თანხა კი გამოიყენებოდა ქონების რეალიზაციისა და გაკოტრების პროცესების წარმართვისათვის.⁵⁷

6.2. უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

2007 წლის გადახდისუნარობის კანონმა შეცვალა 1996 წლის კანონის მრავალი მიდგომა, რაც მეტწილად უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების საკითხებს შეეხო.

ყველაზე თვალშისაცემი ცვლილება სანივთო სამართლისთვის დამახასიათებელი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების უმთავრესი მახასიათებლის უგულვებელყოფაში გამოიხატა. 2007 წლის კანონმა ფაქტობრივად უარი თქვა უზრუნველყოფილ კრედიტორთა უფლებაზე, მოთხოვნები უშუალოდ უზრუნველყოფის საგნიდან, სრულად და უპირატესად, სხვა კრედიტორებისგან განცალკევებულად, დაეკმაყოფილებინათ.⁵⁸ ამ ცვლილების საკომპენსაციოდ კანონმა უზრუნველყოფილი კრედიტორები, არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით, მოთხოვნათა დაკმაყოფილების უკეთესი უფლებით აღჭურვა, კერძოდ განათავსა მე-4 რიგში, რაც გულისხმობდა მათ უპირატეს უფლებას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მას შემდეგ რაც სრულად დაიფარებოდა პროცესის ხარჯები და ახალი კრედიტორული

⁵⁴ მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 78-79.

⁵⁵ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (ძალადაკარგულია, 28/03/2007).

⁵⁶ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 308-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

⁵⁷ საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი, პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996 (ძალადაკარგულია, 28/03/2007).

⁵⁸ მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 79.

მოთხოვნები.⁵⁹ რეალურად, უზრუნველყოფილი მოთხოვნა აღარ იყო დამოკიდებული უზრუნველყოფის საგანზე და კმაყოფილდებოდა საერთო ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხით, რაც მეტად უჩვეულო წესს წარმოადგენდა.

2007 წლის კანონით დადგენილი მოწესრიგება პრობლემური იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ არღვევდა უზრუნველყოფის საგანსა და მოთხოვნას შორის არსებულ სანივთო სამართლებრივ კავშირს, იგი ასევე არ ითვალისწინებდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი უზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგითობას, რადგან, პირობითად, ნივთზე რამდენიმე რიგის იპოთეკა თუ იყო რეგისტრირებული, გადახდისუუნარობის მიზნებისთვის, ყველა მათგანს დაკმაყოფილების ერთნაირი შესაძლებლობა გააჩნდათ (რა თქმა უნდა, მოთხოვნათა პროპორციულად).⁶⁰

6.3. უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

უზრუნველყოფილი კრედიტორებისადმი განსაკუთრებული მოპყრობა და პატივისცემა საერთოა ევროპის ყველა გადახდისუუნარობის რეჟიმისთვის⁶¹, რასაც საქართველო 2020 წლის კანონის შემუშავების შემდეგ შეუერთდა, კერძოდ, აღდგა კავშირი უზრუნველყოფილ კრედიტორებსა და დატვირთულ საგნებს შორის, ამასთანავე მხედველობაში იქნა მიღებული სანივთო უზრუნველყოფის რიგითობა.⁶²

გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა დაიბრუნეს უზრუნველყოფის საგნიდან მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების შესაძლებლობა, კანონი, ასევე, ლოგიკურად ზღუდავს უზრუნველყოფილი კრედიტორების პრივილეგირებულ უფლებას მოვალის სხვა ქონებაზე, ვინაიდან უზრუნველყოფილი კრედიტორების დავალიანების გადასახდელად მოვალის დარჩენილი (უზრუნველყოფისგან თავისუფალი) ქონება მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გამოყენებული, თუ მათი დაკმაყოფილება უზრუნველყოფის საგნიდან სრულად არ მოხდება და კრედიტორი მოითხოვს დარჩენილი ნაწილის სხვა ქონებიდან შევსებას, თუმცა ამ ნაწილში იგი კარგავს უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსსა და უპირატესობას და არა-უზრუნველყოფილ კრედიტორთა კატეგორიაში ექცევა,⁶³ შესაბამისად, ამგვარი რეგულირება, დადებითად აისახება, ასევე, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებაზე და ზრდის მათ მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების ალბათობასა და მოცულობას.⁶⁴

⁵⁹ საქართველოს კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტი, სსმ, 9, 31/03/2007, (ძალადაკარგულია, 18/09/2020).

⁶⁰ მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 80.

⁶¹ The European Law Institute (ELI), Instrument of the European Law Institute, Rescue of Business in Insolvency Law, 2017, 243

⁶² განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 16.

⁶³ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 105-ე მუხლის მე-4 პუნქტი, 25/09/2020.

⁶⁴ მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 79.

6.3.1. რეაბილიტაციის მიმდინარეობისას

საწარმოს რეაბილიტაციისას, უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილების ამომავალი პრინციპია, ამ უკანასკნელმა, არ მიიღოს იმაზე ნაკლები მოცულობის შესრულება, რასაც იგი უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შედეგად მიიღებდა,⁶⁵ სასამართლო არ დამტკიცებს განსხვავებული შინაარსის მქონე რეაბილიტაციის გეგმას.⁶⁶

კანონმდებელმა 2020 წლის კანონში, უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების მხრივ, იმპერატიული დათქმები გააკეთა, კერძოდ რეაბილიტაციის მიმდინარეობისას ჯერ უნდა დაკმაყოფილდეს რეაბილიტაციის ხარჯები უპირატესად,⁶⁷ შემდეგ ახალი კრედიტორული მოთხოვნები⁶⁸ და ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებების შეუღახავად უნდა განხორციელდეს.⁶⁹ ამრიგად საწარმოს რეაბილიტაციის გეგმა ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა მოთხოვნები სწრაფად, ეფექტურად და სრულად დაიკმაყოფილონ.⁷⁰

მოგეხსენებათ, უზრუნველყოფილმა კრედიტორებმა დაიბრუნეს უზრუნველყოფით დატვირთულ ნივთებთან სანივთო სამართლებრივი კავშირი, ამიტომაც კანონმდებელმა, რეაბილიტაციის მიმდინარეობისას, დაუშვა გარკვეული ნივთების მორატორიუმისგან განთავისუფლებისა⁷¹ და რეალიზაციის შესაძლებლობა. ასეთი ქმედების ინიციატორი შეიძლება იყოს რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი ან თავად ის უზრუნველყოფილი კრედიტორი, რომლის ინტერესშიც შედის მსგავსი ქმედების განხორციელება.⁷² იმ შემთხვევაში თუ რეაბილიტაციის მმართველი/ზედამხედველი არ დაეთანხმება უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნას მათ სასამართლოს წინაშე მოუწევთ ამტკიცონ თავისი პოზიციის მართებულება⁷³, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ეს უკანასკნელი მიიღებს.⁷⁴ შესაბამისად უზრუნველყოფილ კრედიტორებს რეაბილიტაციის რეჟიმშიც აქვთ მოთხოვნის უშუალოდ, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით დაკმაყოფილების შესაძლებლობა, თუ ეს ხელს არ შეუშლის მთლიანად რეაბილიტაციის გეგმის სრულყოფილად განხორციელებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ უზრუნველყოფილ კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულება 5 წელს აღემატება, ამასთანავე მოვალე რეგულარულად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა, დამოუკიდებლად, ხელშეკრულებით

⁶⁵ გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ასეთი კრედიტორი წინასწარ თანხმდება ნაკლები შესრულების მიღებას.

⁶⁶ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტი, 25/09/2020.

⁶⁷ იქვე, 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶⁸ იქვე, მე-80 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁶⁹ იქვე, 79-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-80 მუხლის პირველი პუნქტი.

⁷⁰ The World Bank Group, Principles for Effective Insolvency and Creditor/Debtor Regimes, Washington DC, 2016, 25.

⁷¹ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 58-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, 25/09/2020.

⁷² იქვე, 87-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷³ ISET, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება, საბოლოო ანგარიში, 2019, 44.

⁷⁴ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 87-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 25/09/2020

გათვალისწინებული პირობებით კმაყოფილდება რეაბილიტაციის გეგმის მიღმა, თუ, რა თქმა უნდა, ამით კრედიტორს აშკარა ზიანი არ მიადგება⁷⁵

6.3.2. გაკოტრების მიმდინარეობისას

საწარმოს გაკოტრებისას, როდესაც კრედიტორთა დაკმაყოფილება მიმდინარეობს კანონით მკაცრად გათვალისწინებული რიგითობის შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორები, მოთხოვნების უზრუნველყოფილი ბუნებიდან გამომდინარე, არ არიან გათვალისწინებულნი გადახდისუუნარობის მასის განაწილების რიგებში.⁷⁶ მათი დაკმაყოფილება ამ პროცესების პარალელურად მიმდინარეობს.

კანონი უზრუნველყოფილ კრედიტორებს აძლევს შესაძლებლობას დაკმაყოფილება მოითხოვონ იპოთეკის/გირავნობის ხელშეკრულებაში არსებული პირობების მიხედვით, რიგითობა განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.⁷⁷

ამ წესების ზედაპირული შესწავლით, კანონშემფარდებელმა შესაძლოა არაგონივრულად ივარაუდოს უზრუნველყოფილი კრედიტორების სრულიად განყენებული მდებარეობა გადახდისუუნარობის პროცესებიდან, თუმცა, მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, საკითხი ასე მარტივად არ დგას. ევროკავშირი თავის დირექტივაში მკაფიო მითითებას აკეთებს შედარებით მონყვლადი კლასების დაცვის მნიშვნელობაზე და სახელმწიფოებს მოუწოდებს შექმნან ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც რომელიმე კლასის კრედიტორს, მიუხედავად მათი პრიორიტეტული ბუნებისა, არ მიანიჭებს განუსაზღვრელ უპირატესობას.⁷⁸

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2020 წლის კანონი, გაკოტრების მმართველს განუსაზღვრავს მოვალეობას, უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დააფუძნოს კრედიტორთა ერთობლიობის საუკეთესო ინტერესებზე, რაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლით გათვალისწინებულ კრედიტორთა რიგებსაც მოიაზრებს. ეს ვალდებულება პირდაპირპროპორციულად აისახება უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მათ შეუზღუდავად და დანარჩენი კრედიტორების ინტერესების გაუთვალისწინებლად არ შეუძლიათ მოითხოვონ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაცია ან საკუთრებაში გადაცემა.⁷⁹ უზრუნველყოფის საგანი იქადე უნდა დარჩეს გადახდისუუნარობის მასაში, ვიდრე ამას გაკოტრების მმართველო გადაწყვეტს, რათა მან შეძლოს ქონების კრედიტორთათვის ყველაზე უფრო მომგებიანი გზით რეალიზაცია.⁸⁰ შესაბამისად თუ გაკოტრების მმართველი, გონივრულად, მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფის საგნები უნდა დარჩეს მასაში და გაიყიდოს მოვალის მთლიანი ქონების სახით,⁸¹ უზრუნველყოფილი კრედიტორები, მხოლოდ

⁷⁵ იქვე, 87-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷⁶ იქვე, 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁷⁷ იქვე, 105-ე მუხლი.

⁷⁸ Directive (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019, 11.

⁷⁹ მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 83.

⁸⁰ საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, 101-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 25/09/2020.

⁸¹ ე.წ. sale of going concern.

სამოქალაქო სამართლისთვის გათვალისწინებული სანივთო ხასიათის უზრუნველყოფის შინაარსზე მითითებით, ამის წინააღმდეგ ვერ წავლენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით ვერ დაიფარება უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა სრულად, მას უნარჩუნდება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება დარჩენილ ნაწილზე, რომელიც ამავე მოცულობით იქნება გათვალისწინებული არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა რიგში.⁸²

7. დასკვნა

კვლევის შედეგად დგინდება, რომ გადახდისუნარობის სამართალში დღეს მოქმედი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ აქამდე არსებულ საკანონმდებლო რედაქციებთან შედარებით, ყველაზე მეტად სრულყოფილ და დახვეწილ მოწესრიგებას გვთავაზობს უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების კუთხით. 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, უმეტესწილად, აღმოიფხვრა ის არასამართლიანი მიდგომები, რასაც „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა, კერძოდ აღდგა კავშირი უზრუნველყოფილ კრედიტორებსა და დატვირთულ საგნებს შორის, რის საფუძველზეც მათ დაიბრუნეს უზრუნველყოფის საგნიდან მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ამასთანავე, მხედველობაში იქნა მიღებული სამოქალაქო კოდექსით დადგენილი უზრუნველყოფის რიგითობა და შეიცვალა ის არასამართლიანი მიდგომა, რომელიც ყველა უზრუნველყოფილ კრედიტორს, მოთხოვნათა პროპორციულობის შესაბამისად, დაკმაყოფილების ერთნაირ შესაძლებლობას სთავაზობდა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმა, უზრუნველყოფილი კრედიტორების დაკმაყოფილების კუთხით, უმეტესწილად, გაითვალისწინა საერთაშორისო დონეზე დანერგული სტანდარტები და მეტად დაუახლოვდა საუკეთესოდ აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, N786, 24/07/1997.
2. საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, N3591, 17/09/2010.
3. საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ N286, 30/07/1996.
4. საქართველოს კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, N4522, 31/03/2007.
5. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“, N7165-11, 25/09/2020.
6. ზარანდია თ., ჯუღელი თ., მოძრავი ნივთით მოთხოვნის უზრუნველყოფა ქართულ სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, #2, 2009, 27.
7. მესხიშვილი ქ., ბათლიძე გ., ამისულაშვილი ნ., ჯორბენაძე ს., გადახდისუნარობის საქმის წარმოების საფუძველები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბ., 2021, 50, 78-79, 83.
8. მიგრიაული რ., გადახდისუნარობის ახალი კანონის შუქ-ჩრდილები, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2009.
9. მიგრიაული რ., შესავალი გაკოტრების სამართალში, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2006, 70-72, 84-85, 96-99, 90-91.

⁸² იქვე, 105-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

10. ქადარია ს., რეაბილიტაციის პროცესის ისტორიული განვითარება, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2022, 197.
11. შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ., გადახდისუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან, თბ., 2011, 51, 83, 90.
12. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“.
13. ISET, რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონპროექტის ფარგლებში შერჩეული საკითხების რეგულირების ზეგავლენის შეფასება, საბოლოო ანგარიში, 2019.
14. საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020.
15. Insolvency Act 1986, UK.
16. German Insolvency Code, 05.10.1994.
17. Keay A., Insolvency Law: A Matter of Public Interest?, Northern Ireland Legal Quarterly, 2000, 1.
18. Brinkmann M., The Position of Secured Creditors in Insolvency, European Company and Financial Law Review, 2008, 249, 251.
19. Eidenmuller H., Secured Creditors in Insolvency Proceedings, European Company and Financial Law Review, 2008, 274.
20. Kasak A., Is Full Preference for a Secured Claim in Insolvency Proceedings Justified?, Juridica International, 2019, 113.
21. The European Law Institute (ELI), Instrument of the European Law Institute, Rescue of Business in Insolvency Law, 2017.
22. International Monetary Fund, Ordinary and Effective Insolvency Procedures, Legal Department, 1999.
23. Directive (EU) 2019/1023 of the European Parliament and of the Council of 20 June 2019.
24. United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL), Legislative guide on insolvency law, United Nation, New York 2005.
25. United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL), Legislative Guide on Secured Transactions, United Nation, New York 2010.
26. United Nations Commission on International Trade Law (UNCITRAL), Model Law on Cross-Border Insolvency with Guide to Enactment and Interpretation, United Nation, New York 2014.
27. The World Bank Group, Principles for effective insolvency and creditor/debtor regimes, Washington DC, 2016.
28. The World Bank Group, Principles for effective insolvency and creditor/debtor regimes, Washington DC, 2021.
29. <<https://subnational.doingbusiness.org/en/data/exploretopics/resolving-insolvency/score>>[20.06.2023].
30. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32019L1023>> [24.07.2023].